MES 5 22 0000454274

05/05/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 19.04.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:00სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

10. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ნინო შიოშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**თამთა მოხევიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
6	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვლადიმერ ღლონტი	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II, IV, V
2	თეა ქოიავა		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	I, II, IV, V
3	ქეთევან დოლიძე		„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II
4	მარინა ქორიძე		ფაკულტეტის დეკანი, „ბიოლოგიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო	I, II

			საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი	
5	რუსუდან ხუხუნაიშვილი		„ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I, II
6	ნინო ლომთათიძე		„ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	IV
7	ნანი გვარიშვილი		„ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	IV
8	ნერიმან ცინცაძე		„ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
9	ნატო ზოსიძე		„ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	V
10	ნინო მატარაძე	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი	III
11	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
12	მარინა ადამია		„სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	III
13	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
14	სალომე გავაშელიშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის	III

			უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ბესარიონ ლასარეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	რუსუდან თაყაიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	ვაჟა ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
4	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· დიახ
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო შიოშვილმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვის მესამე საკითხად გადატანის შესახებ.

საბჭომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08.07.2021 გადაწყვეტილება №687128
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ბესარიონ ლასარეიშვილმა, განაცხადა, რომ განსახილველი პროგრამის აკრედიტაცია მოხდა 2021 წლის აპრილში. მისი თქმით, დაწესებულების მიერ შესრულებულია საბჭოს მიერ დამტკიცებული პრაქტიკულად ყველა რეკომენდაცია, რაც ასახულია მის დასკვნაში.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ 2021 წლის საბჭოს გადაწყვეტილება დაწესებულებამ, ფაკულტეტმა და აკადემიურმა პერსონალმა დადებითად შეაფასა. საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციები მხედველობაში მიიღო ინსტიტუციამ და სრულად იქნა გათვალისწინებული, მათი მოსაზრებით ყველა რეკომენდაცია მიმართული იყო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ლევან მოსახლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტმა ანგარიშის შესწავლის დროს გამოითხოვა ყველა სილაბუსი და დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული, რადგან რეკომენდაციებში ყველა სილაბუსში ჩასწორების აუცილებლობა არ ჩანდა.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, განაცხადა, რომ გაეცნო წარმოდგენილ დოკუმენტაციას, მისი თქმით დასკვნაში მოცემულია ასეთი რჩევა: „გაძლიერდეს ქიმიების სწავლებაში ლაბორატორიული სწავლების კომპონენტი“ და დაინტერესდა თუ როგორ მიმდინარეობს ლაბორატორიული სამუშაოები ონლაინ სწავლების პირობებში და რა სახის ღონისძიებები გაატარეს/გაატარებენ აღნიშნული კომპონენტის გაძლიერების მიზნით?
ექსპერტმა, ბესარიონ ლასარეიშვილმა, განაცხადა, რომ იყო გადაფარვები ცალკეულ თემებში ბაკალავრიატის/მაგისტრატურის კურსებს შორის და იმისათვის, რომ მას ინტეგრირებული წარმოდგენა შექმნოდა, აუცილებლად მიიჩნია სილაბუსების სრულად გამოთხოვა, რამაც საშუალება მისცა, ერთიანი სურათი დაენახა და ეთქვა, იყო თუ არა აღმოფხვრილი აღნიშნული გადაფარვები.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2.3 კომპონენტში გაწერილ რეკომენდაციაში მითითებულია, რომ მოლეკულური ბიოლოგიის სილაბუსში გამორჩენილია პრერეკვიზიტის მითითება და დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული, ტექნიკური ხარვეზი?
ექსპერტმა დაადასტურა, რომ საუბარი იყო ტექნიკურ ხარვეზზე, რადგან სხვა დოკუმენტში აღნიშნული ასახული იყო.
ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, მარინა ქორიძემ, ლაბორატორიულ სწავლებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჯანდაცვის მიმართულებით ყველა პროგრამა ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობდა პანდემიის დროსაც და უკვე მესამე სემესტრია, ლაბორატორიული მეცადინეობები საუნივერსიტეტო სივრცეში რჩებოდა. საუბარი იყო ქიმიისა და ბიოლოგიის მიმართულებაზე, აღნიშნულ პროგრამებზეც ჰიბრიდული რეჟიმი გამოიყენებოდა. შესაბამისად, იქ, სადაც ლაბორატორიული მეცადინეობა იყო საჭირო, სტუდენტებს ლაბორატორიული მეცადინეობები უტარდებოდათ საუნივერსიტეტო სივრცეში, თუმცა, როდესაც იყო სრული ონლაინ სწავლება, დაწესებულება ლაბორატორიული მეცადინეობებისას იყენებდა სპეციალურ კურსებს, ვიზუალურ ლაბორატორიას და პერსონალი, რომელიც ატარებდა ამ კურსებს, მიდიოდა საუნივერსიტეტო სივრცეში, თვითონ ატარებდა ცდებს და ახდენდა ცდების დემონსტრირებას, თუმცა უკვე მესამე სემესტრია სწავლება ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობს.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, დააზუსტა თუ რა ღონისძიებები ტარდება/გატარდება აღნიშნულ ეტაპზე ლაბორატორიული კომპონენტის გასაუმჯობესებლად?
ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა, მარინა ქორიძემ, განმარტა, რომ დაწესებულებას საკმაო კარგად აღჭურვილი ლაბორატორია ჰქონდა, რაც დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტის დროსაც, ქიმიის მიმართულებითაც აქვთ რამდენიმე ლაბორატორია, საუბარი იყო გაუმჯობესებაზე, მოხდა საათების მომატება და, შესაბამისად, კომპონენტის გაძლიერება.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	08.07.2021 გადაწყვეტილება №687129
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი	-

	ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0511 ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ბესარიონ ლასარეიშვილმა, განაცხადა, რომ დეტალურად გაეცნო სამაგისტრო პროგრამას და შეეძლო დაედასტურებინა, რომ შესრულებულია საბჭოს მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია, ასევე სრულად აღმოფხვრილია გადაფარვები.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ დაწესებულებამ მთელი ძალისხმევა მიმართა რეკომენდაციების შესრულებისკენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:13
დასრულების დრო: 14:16

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამუსიკო ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.01.2019 გადაწყვეტილება №22
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე

9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5, თბილისი 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რუსუდან თაყაიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დიდი ინტერესით იმუშავა აღნიშნულ პროგრამაზე, პროგრამას 2019 წელს ჰქონდა მიღებული აკრედიტაცია, 2021 წლის 23 ივლისს გეგმიური მონიტორინგის შედეგად პროგრამამ მიიღო რეკომენდაციები და 60 დღიანი ვადა რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარსადგენად. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და ახალი რჩევა ან რეკომენდაცია არ გაუციათ, თუმცა უკვე გაცემული რეკომენდაციების შესახებ წარმოადგინეს პოზიცია:
1. „პროგრამის კრედიტების მითითებული რაოდენობაა 180 კრედიტი, რაც არ ითვალისწინებს საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის მოთხოვნებს და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობასთან, რომლის მიხედვითაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტისა, მათი დანარჩენი რაოდენობა კი არ უნდა იყოს მითითებული“ - საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია მოყვანილი კანონმდებლობასთან, კერძოდ, ითვალისწინებს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ (46-ე მუხლი, გ)

ქვეპუნქტი) მოთხოვნებს - "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს", რაც შემდეგი სახითაა ასახული: 1. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დასაგროვებელი კრედიტები - 60, განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო კომპონენტისათვის და მოიცავს სავალდებულო (ჯამში 54 კრედიტი) და არჩევითი (შეთავაზებულია სამი 6-კრედიტიანი კურსი) საგნების ჩამონათვალს, რაც უცვლელი სახით დარჩა გეგმიური მონიტორინგის დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შედარებით; 2. ცვლილება აისახა შემდეგში - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი აღარ იზომება კრედიტებში, გეგმიური მონიტორინგისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციისგან განსხვავებით, სადაც მისთვის 120 კრედიტი იყო განსაზღვრული (სადოქტორო პორტფოლიო);

2. „რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“, „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“, „ისტორიულად ინფორმირებული შემსრულებლობა“, შინაარსი და ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს სწავლების საფეხურთან“ - გარკვეული ცვლილებებია შეტანილი შეფასების კომპონენტებისა და მინიმალური ზღვრების სისტემაში. დასახელებულ სასწავლო კურსებში კორექტირებულია სასწავლო მიზანი და შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის მოთხოვნებთან. მაგ., „მუსიკოლოგიური კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდები“ - თუ კურსის მიზანი იყო "შესძინოს დოქტორანტს მუსიკოლოგიის მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინათა კვლევის ძირითადი და დამხმარე მეთოდებით მუსიკალური ნიმუშის დამუშავების უნარი" წარმოდგენილი სილაბუსი ფოკუსირებულია ცოდნის გაღრმავებაზე („შესძინოს“ --> „გააღრმავოს“). „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“ - სილაბუსში წარმოდგენილი ცვლილებები ხაზის გასმით არის მონიშნული „კურსის მიზანია გაუღრმავოს (იყო მისცეს) დოქტორანტებს მუსიკოლოგიაში კვლევის უახლესი მეთოდების კომპლექსური ცოდნა, განუვითაროს მათ მუსიკალური ნაწარმოების სხვადასხვა კომპონენტის ანალიზის და სინთეზის გზით ერთიანი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და აღჭურვოს ისინი არსებული სამეცნიერო ცოდნის გადაფასებისთვის საჭირო კრიტიკული ანალიზის უნარით“. ცვლილებებია შეტანილი სასწავლო კურსების შინაარსში. კერძოდ, „მუსიკოლოგიური კვლევის ძირითად და დამხმარე მეთოდებში“ გაშლილია და უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ლოგიკის კომპონენტი. ასევე, გაფართოებულია სემიოტიკის მეთოდების შესწავლა. გაფართოებულია სასწავლო კურსის „მუსიკალური ნაწარმოების კომპლექსური კვლევის მეთოდები“ შინაარსი, კერძოდ, მუსიკალურ-თეორიული სისტემების ისტორიული განვითარება წარმოდგენილია უძველესი დროიდან დღემდე. ორივე სილაბუსში განახლებულია ლიტერატურის სია (სავალდებულო და დამხმარე წყაროები). წარმოდგენილია ქრესტომათიული და უახლესი გამოცემები ქართულ და უცხოურ ენებზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ, განმარტა, რომ დაწესებულებას არაფერი ჰქონდა დასამატებელი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:31
დასრულების დრო: 14:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ემუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	24.05.2021 გადაწყვეტილება №480439
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0521 გარემოსმცოდნეობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ვაჟა ტრაპაიძემ, განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული იყო 5 რეკომენდაცია, რომლებთან დაკავშირებითაც დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რაც მიზნად ისახავდა რეკომენდაციების შესრულების დადასტურებას. ტექნიკური თვალსაზრით, შესასრულებლად არ იყო რთული რეკომენდაციები, თუმცა, უნივერსიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც დაგეგმა მათი შესრულების ყველა ნაბიჯი. რეკომენდაციების შესრულება შეფასდა შემდეგნაირად:
1. პროგრამის მიღების წინაპირობაში უცხო ენის დონედ განისაზღვროს B2 დონე - რეკომენდაცია შესრულებულია, ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში მიღების წინაპირობებში უცხო ენის დონედ განსაზღვრული იყო B1დონე, წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად წინაპირობებში უცხო ენის დონედ განისაზღვრა B2 დონე;
2. სასწავლო კურსში „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურად განსაზღვრული იქნას უახლესი სახელმძღვანელოები - რეკომენდაცია შესრულებულია, სასწავლო კურსში „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“ განახლდა ლიტერატურა და ძირითად ლიტერატურას დაემატა როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი უახლოესი სახელმძღვანელოები;
3. სასწავლო კურსში „ეკოლოგია და გენეტიკა“ განახლდეს ლიტერატურა და შეტანილ იქნას ეპიგენეტიკის საკითხები - რეკომენდაცია შესრულებულია, განახლებულია ლიტერატურა და სასწავლო კურსის შინაარსში შეტანილია საკითხები რომელიც განიხილავს ეპიგენეტიკას, კერძოდ 15 სალექციო თემიდან, ორი სალექციო თემა დათმობილი აქვს ეპიგენეტიკის საკითხებს, როგორიცაა: ეპიგენეტიკური მემკვიდრულობა: ჰისტონური კოდი და კოვალენტური მოდიფიკაციები, ეპიგენეტიკური ცვალებადობის მექანიზმები. გენების იმპრიტინგი გამეტოგენეზში და შედეგები;

4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“-ს განხორციელებაში ჩაერთოს სამართლის დარგის სპეციალისტიც - რეკომენდაცია შესრულებულია, სასწავლო კურსის განხორციელებაში ჩართულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი ნარგიზ ცეცხლაძე, რომელსაც აქვს რამდენიმეწლიანი პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება;
5. მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების დაფინანსების წყაროები - რეკომენდაცია შესრულებულია. ბსუ-ს საბიუჯეტო პროცესის მართვის წესის შესაბამისად რეგულირებულია ბიუჯეტის სტრუქტურა და საბიუჯეტო სისტემა, ერთიანი ბიუჯეტის შემადგენელი ნაწილია ფაკულტეტის ბიუჯეტიც, პროგრამის ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების – ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. საუნივერსიტეტო ბიუჯეტით დაბალანსებულია პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები და შემოსავლები. დანართ 6-ში მითითებულია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების დაფინანსების წყაროები.
აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ხუთივე რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული დაწესებულების მიერ, ასევე, დაწესებულებამ გაითვალისწინა საბჭოს მიერ გაცემული რჩევებიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული რეკომენდაციები და შეეცადნენ ზედმიწევნით შეესრულებინათ ისინი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:45
დასრულების დრო: 14:48

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.04.2021 გადაწყვეტილება №318965
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა ანზორ ბერიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ირინე ფხაკაძემ, განაცხადა, რომ პროგრამა აკრედიტებულია 2021 წელს, 7 წლის ვადით, რეკომენდაციების შესრულება შეფასდა შემდეგნაირად:
1. რეკომენდირებულია პროგრამაში მოხდეს დარგობრივი სასწავლო კურსების გაძლიერება, განსაკუთრებით ფიზიკური თერაპიის, ოკუპაციური თერაპიის და მოძრავი თამაშების შემსწავლელი კურსების სახით. დაზუსტდეს სასწავლო კურსების წინაპირობები: კურსის „იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვროს „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით“, კურსის „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ წინაპირობად განისაზღვროს სამედიცინო ქიმია - რეკომენდაცია გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ, საბაკალავრო პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაძლიერდა დარგობრივი სასწავლო კურსები („ოკუპაციური თერაპია“ IV სემესტრი, 2კრ; „მოძრავი თამაშები“ VII სემესტრი, 2კრ). დაზუსტდა სასწავლო კურსების წინაპირობები, კერძოდ: კურსის „იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია და ვირუსოლოგიის საფუძვლები“ წინაპირობად განისაზღვრა „სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით“, უკანასკნელი გადატანილ იქნა პროგრამის მეორე სემესტრიდან პირველ სემესტრში, კურსის „დატვირთვის ფიზიოლოგიური ბიოქიმია“ წინაპირობად განისაზღვრა სამედიცინო ქიმია; აღნიშნული ცვლილებები ასახულია წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;
2. რეკომენდირებულია ღრმა დარგობრივი ცოდნის მიღწევის მიზნით, არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულოში გადატანილ იქნას: ლოგოპედია, პალიატიური მზრუნველობა, პედიატრია, ზოგადი ჰიგიენა, ონკოლოგია - რეკომენდაცია გაზიარებული იქნა დაწესებულების მიერ, ანგარიშის თანდართულ დანართებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამაში არჩევითი კურსების ბლოკიდან სავალდებულო კურსებში იქნა გადატანილი სასწავლო კურსები: ლოგოპედია (IV სემესტრი, 4კრ), პალიატიური მზრუნველობა (VII სემესტრი, 2 კრ), პედიატრია (VII სემესტრი, 2 კრ), ონკოლოგია (V სემესტრი, 2კრ); აღნიშნულ ცვლილებებს ადასტურებს პროგრამა და შესაბამისი კომპონენტების სილაბუსები;
3. რეკომენდებულია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების დაზუსტება საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით - რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ, ფიზიკური მედიცინისა და სამედიცინო რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, გათვალისწინებულია სასწავლო კურსების სპეციფიკა, რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად პროგრამაში აქტიურად დაინერგა პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება PBL, შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლება CBL, ქმედებაზე ორიენტირებული (პალიატიური მზრუნველობა, ოკუპაციური თერაპია, შინაგანი სნეულებანი, რევმატოლოგია). სტუდენტის დასკვნითი შეფასების მიზნით (შინაგანი სნეულებანი, რევმატოლოგია, ფიზიკური რეაბილიტაცია დაავადებათა კლინიკაში) შეფასების მეთოდად გამოყენებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა- OSCE.
მან აღნიშნა, რომ არცერთი კომპონენტის მიმართ ახალი რჩევა/რეკომენდაცია არ არის გაცემული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები შეეცადნენ შეესრულებინათ რეკომენდაციები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 14:57

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 19 აპრილს, 15:00 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა